განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კულტურის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 15 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი 4 დეკემბერი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის ბაკალავრი 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, კინგს საქართველო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა კიკნაძე, კავკასიის უნივერსიტეტი,საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2001-2005 წლებში ხორციელდებოდა საბაკალავროპროგრამა„ხელოვნების სფეროს მენეჯმენტი“. 2012 წლიდან უნივერსიტეტში ხორციელდებოდა „კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც 2013 წელს, უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამის აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „კულტურის მენეჯმენტი“.საანგარიშო პერიოდში პროგრამამ განიცადა ცვლილებები 2013 წელს ჩატარებული აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად.

„კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავსკულტურის მენეჯმენტის სფეროს თანამედროვე, პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც გამომუშავებული დარგობრივი და პროფესიული, ასევე, ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებულნი იქნებიან შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებზე. ამდენად, პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის მთავარი პოსტულატია კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საგანმანათლებლო პროგრამამოიცავს როგორც მენეჯმენტის, ასევე, კულტურის სფეროს და სხვა დამხმარე სასწავლო დისციპლინებს. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტს შეადგენს და მისი ხანგრძლივობა 8 სემესტრია.სპეციალობის ძირითადი კურსების ბლოკი 125 კრედიტს მოიცავს, საფაკულტეტო სავალდებულო კურსები- 40, საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები -15 კრედიტი. გათვალისწინებულია, აგრეთვე, დამატებითი minor სპეციალობის 60 კრედიტიანი პროგრამა ან ამავე მოცულობის არჩევითი კურსების ბლოკი და სასწავლო კურსები. პროგრამა სრულდება საბაკალავრო ნაშრომით ან პროექტით. აღნიშნული სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს კულტურის სფეროს მენეჯმენტის სპეციფიკასთან მიმართებაში. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლა/სწავლების ისეთი ფორმატი როგორიცაა: ლექცია, სემინარი, სტუდიური მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, საბაკალავრო ნაშრომის ან პროექტის წარდგენა. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, ხოლო მათი შეფასება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები. მრავალფეროვანია გამოყენებული შეფასების ფორმები: ტესტები, ზეპირი და წერითი გამოცდა, პრეზენტაცია და სხვ.სემესტრის დასაწყისში სტუდენტი ეცნობა სასწავლო კურსების სილაბუსებს. ამჟამად პროგრამას აქტიური სტატუსის მქონე 30 სტუდენტი ჰყავს. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 61.3% შეადგენს.პროგრამა უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების მქონე ადამიანური რესურსით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ემზადება ახალ შენობაში გადასასვლელად (მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოების დასკვნითი ნაწილი), რომლის ფართი და გეგმარება გაცილებით უკეთ შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების რეალურ საჭიროებებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 15 ნოემბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში; ჩატარდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების

ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება (როგორც ამჟამინდელი შენობის, ასევე, ახალი შენობის, რომელშიც პრაქტიკულად დასრულებულია სარემონტო სამუშაოები), გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულიბაზების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2, 2.3 და 2.6 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.4 და 2.5 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-3 სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 3.1 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია. მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.1 და 4.2 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.3 და 4.4 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 5.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია, 5.2 და 5.3 კომპონენტებიშესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებითმკაფიოდ განისაზღვროს დაშვების წინაპირობები;
2. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს „ღონისძიებების მენეჯმენტი“ და ,,კალკულუსი“.
3. რეკომენდებულია, სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს კურსი „თანამედროვე ქართული ხელოვნება“, რომელიც სტუდენტებს გააცნობს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ქართული ხელოვნების როგორც ტრადიციულ, ასევე, ახალ დარგებსა და ფორმებს
4. რეკომენდებულია, კურსის ,,რეკლამა და სარეკლამო საქმის მართვა“ მარკეტინგის პროფილის საგნებთან შერწყმა და გამოთავისუფლებული კრედიტებით პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება.
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში“ გადამუშავდეს და მას დაემატოს სამეწარმეო სამართლის ძირითადი საკითხები.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსობრივი კომპონენტების დახვეწა, სწავლის შედგების სრულყოფა და ძირითადი ლიტერატურის წყაროების

განახლება, კერძოდ:რეკომენდებულია, სასწავლო კურსზე **„ადამიანურირესურსების მართვისა და საქმისწარმოების საფუძვლები„** დაშვების წინაპირობის დაკონკრეტება, სწავლის შედეგების დახვეწა, სწავლების იმ კონკრეტული მეთოდების მითითება, რომლებიც დასტურდება სილაბუსში.

7. რეკომენდებულია, კურსის „**ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი**“ სახელის შეცვლა სილაბუსის ფაქტობრივი შინაარსის შესაბამისად - ,,ბიზნესის ეთიკა“. რეკომენდებულია, აგრეთვე, კურსის სწავლის შედეგების დაზუსტება (მაგალითად, სილაბუსის მიხედვით აღნიშნული კურსი არ უვითარებს კომუნიკაციის უნარს, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობაშია კურსის შინაარსთან).
8. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები**“ - გადასახედია საგანზე დაშვების წინაპირობის და დასკვნითი გამოცდის დავალების შეფასებისას დარღვეული შეფასების ქულების ბიჯის დაზუსტება (0-1 ქულა არ იცის საკითხი).
9. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „**კულტურის მენეჯმენტი (კულტურული ტურიზმი)**“ სახელწოდების დაკონკრეტება (იგი უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად ,,კულტურული ტურიზმი“).
10. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**კულტურის ეკონომიკა**“ ეკონომიკური ხასიათის თემების გათვალისწინება, მაგალითად, კულტურა და ეკონომიკური გარემო, კულტურა და ეკონომიკური განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკა და ა.შ. რეკომენდებულია, ასევე, ძირითად ლიტერატურაში კულტურის ეკონომიკაზე ფოკუსირებული წიგნების მითითება.
11. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „**მარკეტინგი კულტურაში**“ მიზნების და სწავლის შედეგების დახვეწა. რეკომენდებულია, ასევე, აღნიშნულ კურსზე დაშვების წინაპირობად „მარკეტინგის საფუძვლების“ განსაზღვრა, დუბლირებული სალექციო თემების დახვეწა,ძირითადი ლიტერატურის შეცვლა ახალი გამოცემებით.
12. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**მარკეტინგის საფუძვლები**“ სწავლის შედეგების დაზუსტება, ძირითადი ლიტერატურის გაახლება.
13. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**პროექტის მენეჯმენტი**“კომპიუტერული პროგრამა “Microsoft Project” გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, ასევე, დავალებების ნაწილში პროექტის მკაფიოდ გამოკვეთა.
14. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**რეკლამა და სარეკლამო საქმის მართვა“ მიზნის** და სწავლის შედეგების ჩამოყალიბება.
15. რეკომენდებულია ინტერაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობა;
16. რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი მოცულობის 10 კრედიტამდე გაზრდა;

17. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები.
18. რეკომენდებულია, შეფასდეს თითოეული კურსის სწავლის შედეგი და შეიქმნას სწავლის შედეგების თანამედროვე რუქა
19. რეკომენდებულია, სწავლის დაწყებამდე სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია და განემარტოთ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ;
20. რეკომენდებულია, აკადემიურიპერსონალიიყენებდესსწავლება/სწავლისთანამედროვემეთოდებს, რომელთაშეფასებისკრიტერიუმებიიქნებანათელიდაგაწერილისილაბუსში;
21. რეკომენდებულია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა.
22. რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
23. რეკომენდებულია უსდ-ში შეიქმნას სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა.
24. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა იზრუნოს მენეჯმენტის მიმართულების აკადემიური პერსონალის აყვანაზე.
25. რეკომენდებულია, პროგრამის დასაბალანსებლად პროგრამის თანახელმძღვანელად მენეჯმენტის მიმართულებით შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი დაინიშნოს.
26. რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგები საგნების სწავლა/სწავლების მეთოდების განხრით; ამავე თვალსაზრისით დასახვეწია სასწავლო კურსების სილაბუსები და სწავლების პროცესი.
27. **რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამშრომლობის გაღრმავება, პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება სილაბუსებში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - კულტურის მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი ქართული კულტურის ექსპორტია. ამდენად, სასურველია, რომ კულტურის მენეჯმენტის სილაბუსს დაემატოს კულტურულ ფასეულობათა, ხელოვნების ნიმუშთა დაზღვევისა და ტრანსპორტირების სამართლებრივი და ნორმატიული საკითხები.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიწეროს პერიოდული გამოცემები კულტურისა და

კულტურის მენეჯმენტის სფეროდან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - „კულტურის მენეჯმენტის“ პროგრამის ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც რეგიონის

რესურსცენტრებთან თანამშრომლობენ და წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამის და მასზე დაშვების წინაპირობების შესახებ. აღნიშნული აქტივობა უდავოდ ხელს უწყობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- საბაკალავრო პროგრამის 2013 წელს ჩატარებული აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციების უმრავლესობა უსდ-ს მიერ გათვალისწინებულია, კერძოდ:

1. პროგრამას დაემატა ინგლისური ენის 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი და გარდა ამისა, მომზადდა უცხო ენის არჩევითი კურსები ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში.
2. თითოეული სასწავლო კურსისთვის ხელახლა იქნა მინიჭებული კრედიტები საგნის რეალური მოცულობის გათვალისწინებით.
3. სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები ხელახლა იქნა გააზრებული და მათ დაემატა პრეზენტაციისა და შერჩეულ თემაზე რეფერატის მომზადების მეთოდი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ○ საბაკალავრო პროგრამის მიზანია, აღზარდოს კულტურის მენეჯმენტის სფეროს პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები რეგიონისა და ქვეყნის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც დასაქმდებიან კერძო და საჯარო სექტორის შესაბამის დაწესებულებებში.ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ამზადებს მენეჯმენტისა და კულტურის სფეროებში საბაზისო თეორიული ცოდნით და შესაბამისი პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ სპეციალისტებს. ამდენად,პროგრამას თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების კეთილდღეობაში,ემსახურება რეგიონში აღნიშნული დარგის განვითარებას. ამასთან, პროგრამის მიზნები შეესაბამება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ძირითადი პოსტულატია უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება; ასევე, კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ცენტრის ადგილის დაკავება რეგიონში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია, მიზნებიდა სტრატეგიული განვითარების გეგმა; საბაკალავრო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი“ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი

ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „კულტურის მენეჯმენტის“ პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის მიხედვით და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, კერძოდ პროგრამა სტუდენტს აძლევს ცოდნას როგორც ზოგადად მენეჯმენტის, ასევე, კულტურის სფეროს მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური მენეჯერული ღირებულებების გააზრებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში, თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნების უნარის გამომუშავებას, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას

ბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმადაც ხორციელდება საჭირო მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. ანალიზის შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებელი ცვლილებების სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამა „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“ ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან,პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	✓			

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამაზე განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება ის პირები, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. სტუდენტების მიღება ხორციელდება განსაზღვრული კონტინგენტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ კულტურის მენეჯმენტი“ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.batu.edu.ge
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): „კულტურის მენეჯმენტის“ პროგრამის ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც რეგიონის რესურსცენტრებთან თანამშრომლობენ და წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამის და მასზე დაშვების წინაპირობების შესახებ. აღნიშნული აქტივობა უდავოდ ხელს უწყობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლოუნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის კურსდამთავრებულს მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება240 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს 8 სემესტრში. კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: 1. სპეციალობის ძირითადი კურსები - 125 კრედიტი; 2. საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 40კრედიტი; 3. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები-15 კრედიტი; 4. დამატებითი minor სპეციალობა/არჩევითიკურსები/ბლოკები60კრედიტი. სპეციალობისსავალდებულოსასწავლოკურსებისკომპონენტები (125კრედიტი) ორიენტირებულიასტუდენტს მისცეს ფუნდამენტური ცოდნა მენეჯმენტის, მარკეტინგის, ბიზნესის,

ფინანსების მიმართულებით. სტუდენტები პირველ სემესტრში შეისწავლიან ჰუმანიტარული მიმართულების კურსებს, უცხო ენას და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. მეორე სემესტრიდან პროგრამის მიხედვით ფოკუსირება ხდება ძირითად სასწავლო კურსებზე. იმავე სემესტრში გათვალისწინებულია პრაქტიკა - 5კრედიტი და საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი - 10 კრედიტი. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი მოითხოვს დაშვების წინაპირობის მკაფიოდ განსაზღვრას (ამჟამად დაშვება ფორმულირებულია შემდეგნაირად: ,,სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს"). ასევე, როგორც გასაუბრებიდან ირკვევა (პროგრამის ხელმძღვანელი, თვითშეფასების ჯგუფი) სტუდენტები ასრულებენ პროექტს ან საბაკალავრო ნაშრომს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსის მიზანში აღნიშნული კომპონენტი ფორმულირებულია როგორც ,,სტუდენტის სადიპლომო ნაშრომი/პროექტი", რაც შინაარსობრივი თვალსაზრისით ბუნდოვანია და მოითხოვს დაკონკრეტებას. უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსი შინაარსობრივად პროექტის ფორმატშია წარმოდგენილი, ასევე, საბაკალავრო ნაშრომისათვის ცალკე სილაბუსი არ არის შემუშავებული, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამ კომპონენტის სრულყოფილად შესრულების თვალსაზრისით.უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სილაბუსებში საგნებზე დაშვების წინაპირობები არ არის შესაბამისობაში, სილაბუსების გარკვეულ ნაწილში დაშვების წინაპირობები ფორმულირებულია შემდეგი სახით: ,,გავლილი უნდა ჰქონდეს", ,,სასურველია სტუდენტს შესწავლილი ჰქონდეს", ცხადია, რომ დაშვების წინაპირობები პროგრამაში უნდა დალაგდეს სისტემურად და ლოგიკური თანმიმდევრობით. მაგალითად, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლებს წინაპირობად განსაზღვრული აქვს მენეჯმენტის საფუძვლები.ვინაიდან პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსები სტატისტიკა, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ლოგისტიკა, რომელიც მოითხოვს მათემატიკური ბაზისების ცოდნას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეთავაზებულ იქნეს კურსი - ,,კალკულუსი". აღნიშნული პრერეკვიზიტი ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სპეციალობის ძირითადი კურსების ნაწილში მიზანშეწონილად მიგვაჩნია კურსის ,,ღონისძიებების მენეჯმენტი" შეთავაზება. ასევე, შესაძლებელია კურსის ,,რეკლამა და სარეკლამო საქმის მართვა" მარკეტინგის პროფილის საგნებთან შერწყმა და გამოთავისუფლებული კრედიტებით პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს კურსი „თანამედროვე ქართული ხელოვნება", რომელიც სტუდენტებს გააცნობს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ქართული ხელოვნების როგორც ტრადიციულ, ასევე, ახალ დარგებსა და ფორმებს; მით უფრო, რომ კულტურის მენეჯერს ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს ხელოვნებაში მიმდინარე აქტუალურ პროცესებთან, სახვითი, გამოყენებითი და მედიახელოვნების უახლეს მიდგომებთან და მიღწევებთან. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომსასწავლო კურსი „სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში" გადამუშავდეს და მას დაემატოს სამეწარმეო სამართლის ძირითადი საკითხები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი"
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებითმკაფიოდ განისაზღვროს დაშვების წინაპირობები;

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით

შეთავაზებული იქნეს „ღონისძიებების მენეჯმენტი“ და ,,კალკულუსი“. რეკომენდებულია, სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს კურსი „თანამედროვე ქართული ხელოვნება“, რომელიც სტუდენტებს გააცნობს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ქართული ხელოვნების როგორც ტრადიციულ, ასევე, ახალ დარგებსა და ფორმებს რეკომენდებულია, კურსის ,,რეკლამა და სარეკლამო საქმის მართვა“ მარკეტინგის პროფილის საგნებთან შერწყმა და გამოთავისუფლებული კრედიტებით პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში“ გადამუშავდეს და მას დაემატოს სამეწარმეო სამართლის ძირითადი საკითხები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კულტურის მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი ქართული კულტურის ექსპორტია. ამდენად, სასურველია, რომ კულტურის მენეჯმენტის სილაბუსს დაემატოსკულტურულ ფასეულობათა, ხელოვნების ნიმუშთა დაზღვევისა და ტრანსპორტირების სამართლებრივი და ნორმატიული საკითხები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) 2013 წელს ჩატარებული აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, პროგრამას დაემატა ინგლისური ენის 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი და გარდა ამისა, მომზადდა უცხო ენის არჩევითი კურსები ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში.
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისგანვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. თუმცა, არსებობს გარკვეული ხარვეზები რომელიც ეხება სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზნების ადეკვატურად ფორმულირებას, შეფასების სისტემის, სწავლის შედეგების და კურსების შინაარსობრივ ასპექტებს.

სასწავლო კურსზე **„ადამიანურირესურსების მართვისა და საქმისწარმოების საფუძვლები„** დაშვების წინაპირობა დასაკონკრეტებელია,კურსის შინაარსობრივი კომპონენტებიდან გამომდინარე უფრო მეტი აქცენტი კეთდება საქმისწარმოების საკითხებზე, გარკვეულწილად შეკვეცილია ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები. შესაბამისად, გადასახედია სწავლის შედეგებიც, მაგალითად, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მითითებულია, რომ სტუდენტი შეძლებს გაატაროს სწორი საკადრო პოლიტიკა ადამიანური რესურსების მართვისას, რაც კურსის შინაარსიდან გამომდინარე ნაკლებად მიღწევადია. დასახვეწია სწავლების მეთოდოლოგიური ნაწილი, სილაბუსში მითითებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება,შემთხვევის ანალიზი, უნდა აღინიშნოს, რომ არ ჩანს თუ რომელ ლექციაზე ან სემინარზე ხდება აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენება.შეფასების კრიტერიუმების გაწერისას ადგილი აქვს გარკვეულ უზუსტობას, კერძოდ სასწავლო კურსის დასკვნითი გამოცდის დავალების შეფასებისას დარღვეულია შეფასების ქულების ბიჯი (0-1 ქულა არ იცის საკითხი). კურსი **„ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი“** ფოკუსირებულია ბიზნესის ეთიკის საკითხებზე და მასში ფაქტობრივად არ არის გათვალისწინებული ეტიკეტთან დაკავშირებული საკითხები. შესაბამისად, კურსს სახელწოდებად უნდა განესაზღვროს ,,ბიზნესის ეთიკა“. გადასახედია კურსის სწავლის შედეგები; მაგალითად, სილაბუსის მიხედვით აღნიშნული კურსი არ უვითარებს კომუნიკაციის უნარს, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობაშია კურსის შინაარსთან. ამ შემთხვევაშიც დარღვეულია შეფასების ქულების ბიჯი ზეპირი თეორიულისაკითხის შეფასების კრიტერიუმების თვალსაზრისით. **„ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“** -გადასახედია საგანზე დაშვების წინაპირობა, დასკვნითი გამოცდის დავალების შეფასებისას დარღვეულია შეფასების ქულების ბიჯი (0-1 ქულა არ იცის საკითხი). **„კულტურის მენეჯმენტი (კულტურული ტურიზმი)“** - აღნიშნულ კურსზე დასაკონკრეტებელია სახელწოდება და იგი უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად ,,კულტურული ტურიზმი“. მეთოდოლოგიური ნაწილი გარკვეულწილად უნიფიცირებულია და მოითხოვს დაზუსტებას. **„კულტურის ეკონომიკა“** - აღნიშნულ დისციპლინაში, სასურველია, ეკონომიკური ხასიათის თემების გათვალისწინება, მაგალითად, კულტურა და ეკონომიკური გარემო, კულტურა და ეკონომიკური განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკა და ა.შ. ასევე, ძირითად ლიტერატურაში უნდა განისაზღვროს კულტურის ეკონომიკაზე ფოკუსირებული წიგნები. დასკვნითი გამოცდის დავალების შეფასებისას დარღვეულია შეფასების ქულების ბიჯი (0-1 ქულა - არ იცის საკითხი).

„**მარკეტინგი კულტურაში“-** დასახვეწია კურსის მიზნები და სწავლის შედეგები. აღნიშნული კურსი წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე, რაც უნდა გადაიხედოს და კურსზე დაშვების წინაპირობად განესაზღვროს მარკეტინგის საფუძვლები. გარდა ამისა, ადგილი აქვს სალექციო თემების დუბლირებას. აღნიშნულ კურსში სუსტადაა წარმოდგენილი კულტურის კონტექსტი, რაც მოითხოვს გაძლიერებას და შინაარსობრივი თვალსაზრისით დახვეწას. გადასახედია ძირითადი ლიტერატურა, მაგალითად, მითითებულია არმსტრონგი, კოტლერი, მარკეტინგისსაფუძვლები, 2006, მეშვიდეგამოცემა, რაც მოძველებულია. „**მარკეტინგის საფუძვლები“** -გადასახედია სწავლის შედეგები, მაგალითად, ცოდნა/გაცნობიერებაში მითითებულია, რომ სტუდენტს აქვს ფართოცოდნამარკეტინგის პრინციპების, ამოცანების, კონცეფციების შესახებ, ასევე ფართო ცოდნა მარკეტინგული კვლევის,მომხმარებელთა ქცევის, ფასწარმოქმნის, მარკეტინგული კომუნიკაციებისდასხვამნიშვნელოვანისაკითხების შესახებ, რაც კურსის შინაარსობრივი კომპონენტებიდან გამომდინარე ნაკლებად მიღწევადია. აღნიშნულ კურსში გასაახლებელია ძირითადი ლიტერტურა. „**პროექტის მენეჯმენტი“**- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საგანზე დაშვების წინაპირობა, აღნიშნულ კურსში მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომპიუტერული პროგრამა “Microsoft Project” გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, ასევე, დავალებების ნაწილში უნდა გამოიკვეთოს პროექტი. „**რეკლამა და სარეკლამო საქმის მართვა“** - დასახვეწია კურსის მიზანი, სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული კურსის სწავლის შედეგები.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი“
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსობრივი კომპონენტების დახვეწა, სწავლის შედგების სრულყოფა და ძირითადი ლიტერატურის წყაროების განახლება, კერძოდ:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსზე **„ადამიანურირესურსების მართვისა და საქმისწარმოების საფუძვლები„** დაშვების წინაპირობისდაკონკრეტება, სწავლის შედეგების დახვეწა, სწავლების იმ კონკრეტული მეთოდების მითითება, რომლებიც დასტურდება სილაბუსში.

რეკომენდებულია,კურსის „**ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი“**სახელის შეცვლა სილაბუსის ფაქტობრივი შინაარსის შესაბამისად - ,,ბიზნესის ეთიკა“. რეკომენდებულია, აგრეთვე, კურსის სწავლის შედეგების დაზუსტება(მაგალითად, სილაბუსის მიხედვით

აღნიშნული კურსი არ უვითარებს კომუნიკაციის უნარს, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობაშია კურსის შინაარსთან). რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები**“ -გადასახედია საგანზე დაშვების წინაპირობის და დასკვნითი გამოცდის დავალების შეფასებისას დარღვეული შეფასების ქულების ბიჯის დაზუსტება (0-1 ქულა არ იცის საკითხი). რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „**კულტურის მენეჯმენტი (კულტურული ტურიზმი)**“სახელწოდების დაკონკრეტება (იგი უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად ,,კულტურული ტურიზმი“). რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**კულტურის ეკონომიკა**“ ეკონომიკური ხასიათის თემების გათვალისწინება, მაგალითად, კულტურა და ეკონომიკური გარემო, კულტურა და ეკონომიკური განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკა და ა.შ. რეკომენდებულია, ასევე, ძირითად ლიტერატურაში კულტურის ეკონომიკაზე ფოკუსირებული წიგნების მითითება. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „**მარკეტინგი კულტურაში**“ მიზნების და სწავლის შედეგების დახვეწა. რეკომენდებულია, ასევე, აღნიშნულკურსზედაშვების წინაპირობად„მარკეტინგის საფუძვლების“ განსაზღვრა, დუბლირებული სალექციო თემების დახვეწა,ძირითადი ლიტერატურის შეცვლა ახალი გამოცემებით. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**მარკეტინგის საფუძვლები**“სწავლის შედეგების დაზუსტება, ძირითადი ლიტერატურის გაახლება. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**პროექტის მენეჯმენტი**“კომპიუტერული პროგრამა “Microsoft Project” გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, ასევე, დავალებების ნაწილში პროექტის მკაფიოდ გამოკვეთა. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „**რეკლამა და სარეკლამო საქმის მართვა**“ **მიზნის** და სწავლის შედეგების ჩამოყალიბება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) 2013 წელს ჩატარებული აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, თითოეული სასწავლო კურსისთვის ხელახლა იქნა მინიჭებული კრედიტები საგნის რეალური მოცულობის გათვალისწინებით.
შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევით კომპონენტს, რომელიც პროგრამის ძირითად ბადეში ფორმულირებულია, როგორც **საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი.** ნაშრომის მომზადების და დაცვის პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა რათა შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. თუმცა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საბაკალავრო ნაშრომის ალტერნატივად შეთავაზებულია პროექტი, რაც ჩვენი აზრით საჭიროებს გადახედვას, რადგან პროექტის მომზადების პროცესი ნაკლებადაა ორიენტირებული სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის განვითარებაზე და მეტწილად პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ფოკუსირებული.
პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება საშინაო დავალებების, ქეისების, რეფერატების და სხვა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. ბუნებრივია, პრაქტიკული ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს, რომლის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებში. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების სხვადასხვა პროექტებში ჩართულობას, როგორიცაა ფესტივალები, გამოფენები, სტაჟირება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში და ა.შ. თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აუცილებელია გაძლიერდეს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი და მას დაეთმოს უფრო მეტი დრო. დაწესებულებამ აქტიურად უნდა იმუშაოს ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე, ამ კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი როგორც სტუდენტებში, ასევე პროფესორ-მასწავლებლებში.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საბაკალავრო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი“
სასწავლო კურსების სილაბუსები
ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები: რეკომენდებულია ინტერაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობა; რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება, მიზანშეწონილად მიგვაჩნიამისიმოცულობის 10 კრედიტამდე გაზრდა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზემუშაობის მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფურიმუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ქმედებაზეორიენტირებულისწავლება, თანამშრომლობითისწავლება,შემთხვევისანალიზი, გონებრივიიერიში, როლურიდასიტუაციურითამაშები, პრობლემაზედაფუძნებულისწავლება.უნდა

აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია მენეჯმენტის მიმართულების პროგრამის განხორციელების პროცესში, თუმცა სასწავლო კურსის სილაბუსებში მეთოდოლოგიური ნაწილი გარკვეულწილად უნიფიცირებულია, რაც ჩვენი აზრით უნდა ადაპტირდეს კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი“ ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურისმენეჯმენტისსაბაკალავროპროგრამისსწავლისშედეგებიუნდამიიღწეოდესცალკეულისას წავლოკურსებისსწავლისშედეგებითდაიყოსასახულისწავლისშედეგებისრუკაზე. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკა (წარმოდგენილი იყო ძველი დიზაინის მქონე დოკუმენტი) შეიცავდა გარკვეულ უზუსტობებს.აღნიშნულიბუნდოვანსხდის, პროგრამისთითოეულიკომპონენტისფარგლებშისტუდენტისშეფასებისმეთოდებიუზრუნვლყოფსთ უარაამავეკომპონენტითგანსაზღვრულისწავლისშედეგებისმიღწევას.სწავლისშედეგებისშეფასებაემს ახურება, როგორცსტუდენტისმიღწევებისკონტროლს, ასევესწავლისპროცესშისტუდენტისადააკადემიურიპერსონალისუკუგებისუზრუნველყოფას. პროგრამითგათვალისწინებულისაკითხებისათვისებაფასდება 100 ქულიანისისტემით, რომელიცსასწავლოპროცესშიჩართულიმეთოდებისწილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. თუმცა, სტუდენტებს არ აქვთ მკაფიო ინფორმაცია ამ მექანიზმის არსებობის შესახებ.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას, რიგ შემთხვევებში საჭიროა ამ მეთოდების უკეთ ინტეგრირება სწავლების პროცესში.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საბაკალავრო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი“
სასწავლო კურსების სილაბუსები
პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
ინტერვიუ სტუდენტებთან
უნივერსიტეტის ვებგვერდიWWW.BATU.EDU.GE

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, შეფასდეს თითოეული კურსის სწავლის შედეგი და შეიქმნას სწავლის შედეგების თანამედროვე რუქა რეკომენდებულია, სწავლის დაწყებამდე სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია და განემარტოთ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ რეკომენდებულია, აკადემიურიპერსონალიიყენებდესსწავლება/სწავლისთანამედროვემეთოდებს, რომელთაშეფასებისკრიტერიუმებიიქნებანათელიდაგაწერილისილაბუსში; რეკომენდებულია, შეფასებისკომპონენტებისდაზუსტება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) 2013 წელს ჩატრებული აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად გამრავალფეროვნდა შეფასების მეთოდები, დაემატა პრეზენტაციისა და წინასწარ არჩეულ საკითხზე რეფერატის მომზადების მეთოდი.
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა			√	

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაცია. ამასთან, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ სამუშაო დღის განმავლობაში შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია, როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისგან სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ. სტუდენტები ინფორმირებულები არიან და პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში; მაგრამ ვერ სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით, გაცვლითი პროგრამებით, ვერ იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო კვლევებსა და კონფერენციებში; დაბალია ინტერნაციონალიზაციის დონე. აკადემიური პერსონალისადმი აუცილებელი მოთხოვნაა სავალდებულო ყოველკვირეული საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად საკონსულტაციო საათის ჩატარება. საკონსულტაციო საათები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში. გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა.სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ იციან საკონსულტაციო მომსახურების შესახებ, თუმცა სწავლის პერიოდში ამ შესაძლებლობით არ უსარგებლიათ. უსდ-ში არ არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით, ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, აუდიტორიების დატვირთვა. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტ საიტიდან და სოციალური ქსელიდან. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები ვერ იღებენ დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რაც განაპირობებს პროფესიული ნიშნით დასაქმებულთა მცირე რაოდენობას. თუმცა, უსდ-ში ახლად შექმნილია მექანიზმი, კარიერული ზრდის და დასაქმების სამსახური, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ მიიღონ კონსულტაციები კარიერის დაგეგმვასა და პროფესიული განვითარების შესახებ;
მტკიცებულებები/ინდიკატორები

საბაკალავროპროგრამა “კულტურის მენეჯმენტი” სასწავლო კურსების სილაბუსები პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ინტერვიუ სტუდენტებთან ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან ელექტრონული პორტალიhttp://www.batu.edu.ge/
რეკომენდაციები: რეკომენდებულია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა. რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; რეკომენდებულია უსდ-ში შეიქმნას სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა			√	

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში „კულტურის მენეჯმენტის „ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 7 აკადემიური და 19 მოწვეული პერსონალის მიერ.აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 19 მოწვეული პერსონალიდან შეიცვალა 13. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - 7/19, სახიფათოა და, შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს პროგრამის მდგრად განხორციელებას. ასევე კრიტიკულია მოწვეული პერსონალის როტაციის მაჩვენებელი, არა მხოლოდ მდგრადი განხორციელების თვალსაზრისით, არამედ, შესაძლოა, გართულდესპროგრამის შედეგად უკუკავშირისმიღება და შედეგების გათვალისწინება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ხელოვნების სფეროს და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებების საგნების ერთგვარ მიქსს წარმოადგენს; აქედან გამომდინარე, პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭება. თუმცა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი მხოლოდ კულტურის სფეროს წარმოადგენს და მენეჯმენტის კვალიფიკაციაზე გასვლა ხდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის ხარჯზე. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მას 3 სასწავლო კურსი მიჰყავს და გააჩნია შესაბამისი აკადემიური გამოცდილება. პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი არიან საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების

რაოდენობა მცირეა(35 სტუდენტი), ამიტომ უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან არ ჭირს მათი კომუნიკაცია, რაც სტუდენტებთან ინტერვიუს მიმდინარეობისასაც დადასტურდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი“ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ სტუდენტებთან აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა იზრუნოს მენეჯმენტის მიმართულების აკადემიური პერსონალის აყვანაზე. რეკომენდებულია, პროგრამის დასაბალანსებლადპროგრამის თანახელმძღვანელად მენეჯმენტის მიმართულებით შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი დაინიშნოს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი.აქედან გამომდინარე, შექმნილია ლექციაზე დასწრებისა და შეფასების სპეციალური ფორმა. უსდ-ს მიერ მოწოდებულ მასალებში წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა 2013-2018 წლებში. აღსანიშნავია, რომ პერსონალის მცირე რაოდენობის გამო იოლად და არაფორმალურად ხდება კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელსა, ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალს შორის. უსდ ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებას: ვორქშოფებს, ტრენინგებს, სამეცნიერო კონფერენციებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებს.უსდ-ს ადმინისტრაციას განსაზღვრული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლა/სწავლების მეთოდებში ტრენინგების გეგმა და ახორციელებს მას 2018 წლის განმავლობაში. უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპლექსური ტრენინგები სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიასა და უცხო ენის სწავლის მიმართულებით. სილაბუსების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შინაარსით და სწავლების მეთოდებით განსხვავებული საგნების სწავლებისა და შედეგების შეფასებისას გამოიყენება იდენტური მეთოდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის თვითშეფასების ანგარიში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგები საგნების სწავლა/სწავლების მეთოდების განხრით;ამავე თვალსაზრისით დასახვეწია სასწავლო კურსების სილაბუსები და სწავლების პროცესი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიულ მისამართზე არსებულ შენობაში (ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ N 37).ამჟამად სასწავლო პროცესი აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში უნივერსიტეტი გადადის ახალ შენობაში, სადაც ფაქტობრივად დასრულებულია სარემონტო სამუშაოები (აუდიტორები, სტუდენტებისთვის განკუთვნილი სივრცეები და სხვ.) და მიმდინარეობს შენობის ტექნიკური აღჭურვა; უსდ-ს შეძენილი აქვს სპეციალური ინვენტარის დიდი ნაწილი. ახალი შენობის დაპროექტების სამუშაო შესრულებულია უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პედაგოგებისა და სტუდენტების მიერ და, შესაბამისად მაქსიმალურადაა გათვალისწინებული უსდ-სა და მისი ფაკულტეტების მოთხოვნები და რეალური საჭიროებები.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებთან, აღჭურვილია ელექტრონული რიდერებით და წიგნების ონლაინ ვერსიებით. თუმცა შეინიშნება პროფესიული პერიოდული გამოცემების ნაკლებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიწეროს პერიოდული გამოცემები კულტურისა და კულტურის მენეჯმენტის სფეროდან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედ აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ფინანსდება როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის მიერ, ასევე, იღებს შემოსავლებს სტუდენტებისგან. უსდ-ს ბიუჯეტის მიხედვით 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა მიღწევადია და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უსდ-ს 2018 წლის ბიუჯეტი საბაკალავრო პროგრამის 2018 წლის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა		✓		

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ➢ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივი გაუმჯობესების ციკლზე - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA). ციკლის ყველა ეტაპზე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი თანამშრომლობით ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და მზადდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. კერძოდ, იგეგმება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ვადები, განისაზღვრება ვინ მონაწილეობს შეფასების პროცესში და განისაზღვრება

სეფასების კრიტერიუმები. მეორე ეტაპზე ხორციელდებადაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; მესამეეტაპზეფასდება თითოეული კომპონენტის /მექანიზმის მუშაობის ხარისხი, ანალიზი უკეთდებახარვეზების/ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს და მეოთხე ეტაპზე ერთობლივად შემუშავდება მათი აღმოფხვრის მექანიზმები.პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე პროგრამის თვითშფასების ჯგუფთან ინტერვიუების დროს დადასტურდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების აღნიშნული მექანიზმის არსებობა.თუმცა აკრედიტაციის ვიზიტის დროს გადამოწმებულ ზოგიერთ სილაბუსში აღმოჩნდა ბუნდოვნად ფორმულირებული დაშვების წინაპირობები, დასახვეწი სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდები; გარკვეული სამუშაოა ჩასატარებელი ასევე სილაბუსის შესაბამისი სწავლა/სწავლების მეთოდების დაკონკრეტების თვალსაზრისითაც. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობის გააქტიურება, შესაძლოა, მათთვის ტრენინგების ჩატარება (მაგალითად, სწავლის შედგების მკაფიოდ ჩამოყალიბების და სხვ. მიმართულებით) მითითებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანამანათლებლო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი“ სასწავლო კურსების სილაბუსები პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის განხორციელებაშიჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამშრომლობის გაღრმავება, პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება სილაბუსებში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ დაწესებულება პროგრამის განვითარებისათვის იყენებს გარე შეფასების (აკრედიტაცია, ავტორიზაციის პროცესი) შედეგებს. პროგრამა განიცდის ცვლილებებს, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად პროგრამის შინაარსობრივ გაძლიერებაზე.მიმდინარე წელს პროგრამა პირველად იქნა გაგზავნილი გარე ექსპერტიზაზე „კერძო უმაღლესი სასწავლებლების აცოციაციაში“ (APU). მოხდა შეფასების შედეგების განხილვა დამიღებული რეკომენდაციების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან „კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის“ (APU) მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს პროგრამას. ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (სასწავლო მასალების და საგამოცდო მასალების, ასევე გამოცდების მონიტორინგი და გამოცდის შედეგების ანალიზი).ამავე სამსახურის ორგანიზებით ტარდება აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვაც და შედეგების ანალიზის საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. ცვლილებები შეიძლება ეხებოდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლებას,კრედიტების რაოდენობის შეცვლას, არჩევითი სასწავლო კურსის დამატებას,სწავლების მეთოდების ან ლიტერატურის განახლებას და სხვ.მიმდინარე წელს შემუშავდა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა ლექციაზე დაკვირვების ფორმა. მონიტორინგი და შეფასება გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კულტურის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	√			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა			√	
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა			√	
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა		√		
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ღაღანიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მერაბ ხოხობაია

დავით ქარცივაძე

ნიკა კიკნაძე